პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და
ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и
организаций Грузинской ССР и Грузинского
республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

№ 137 (1619) ○ კვირა, 20 ნოემბერი, 1960 წ. ○ ფასი 80 კაპ.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი

სსრ კავშირის დედაქალაქში ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივითა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებს ეროვნული კადრების მომზადებაში.

17 ნოემბერი არაჩვეულებრივი, განსაკუთრებით სასიხარულო დღე იყო ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა ცხოვრებაში. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოვიდნენ სხვადასხვა ხალხის შვილები — მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე საზღვარგარეთელი სტუდენტები, აფრიკისა და აზიის სახელმწიფოთა და ლათინური ამერიკის ქვეყნების საელჩოთა მეთაურები და თანამშრომლები. შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს კ. ე. ვოროშილოვს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ვ. პ. ელიუტინს და სხვებს.

შესავალ სიტყვას ამბობს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ს. ვ. რუმიანცევი, რომელმაც განაცხადა, რომ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის საბჭო და უნივერსიტეტის კოლექტივი მხურვალე მადლობას უძღვნიან საბჭოთა მთავრობასა და მის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს უდიდესი დახმარებისათვის, რომელმაც საშუალება მისცა უნივერსიტეტს განსაკუთრებით მოკლე ვადაში ჩამდგარიყო მოქმედ უმაღლეს სასწავლებელთა მწყობრში.

მოსკოვის სტუდენტთა სახელით გამოვიდა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი ს. სოლოვიოვა. ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ნიგერიელმა სტუდენტმა ლასისი ადამს ოსუნდემ, ახალგაზრდა აფრიკელმა თავისი გამოსვლის დასკვნითი სიტყვები რუსულად წარმოთქვა. იგი მივიდა ნ. ს. ხრუშჩოვთან, რომელიც მამობრივად მოეხვია მას. ქალიშვილებსა და ჭაბუკებში გაისმა შეძახილები: „ხრუშჩოვი!", „მეგობრობა".

სიტყვას ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან. მას სიტყვა მრავალგზის შეაწყვეტინეს ტაშით. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის კოლექტივისადმი. ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტთა წერილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი კითხულობს კუბელი სტუდენტი ანიბალ პენტონი. ნიკიტა სერგის ძემ მეგობრულად ჩამოართვა მას ხელი.

უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ს. ვ. რუმიანცევი ამბობს, რომ უნივერსიტეტის საბჭომ გადაწყვიტა ხალხთა მეგობრობის , უნივერსიტეტის დაარსების აღსანიშნავად პირველი სამახსოვრო მედლით დააჯილდოვოს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. ხანგრძლივი ტაშის გრიალში ს. ვ. რუმიანცევმა მედალი და მისი დიპლომი გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვს. დარბაზში ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება, რომლის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. მასში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა, ხელოვნების ოსტატებმა.

★

სურათზე: საქართველოს 1960 წლის ჩემპიონი ძალოსნობაში ა. სურმანიძე (ქვემსუბუქი წონა) შეჯიბრების დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

★

რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის

◆

საქართველოს 1960 წლის პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში

◆

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში მიმდინარეობს საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში, სადაც იბრძვიან თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და თელავის ნაკრები გუნდები. პარალელურად შეჯიბრება მიმდინარეობს ფიზკულტურულ კოლექტივების გუნდებს შორისაც — გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს ფიზკულტურული კოლექტივების საკავშირო შეჯიბრებაში.

უფერულად დაიწყო შეჯიბრება მჩატე წონაში, სადაც მონაწილეთა ნახევარი მესამეთანრიგოსნებს წარმოადგენენ. კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა თბილისელი რ. დათიკაშვილი. როგორც ჩანს, მან კარგად ვერ გაითვალისწინა გასული წლის გაკვეთილი, როცა პირველივე მოძრაობაში მიიღო 0 და გამარჯვება აჭარელ ა. სურმანიძეს გადაულოცა. იგი ამჯერადაც ასეთივე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო საწყისი წონის — 87,5 კილოგრამის დაძლევა. შემდეგ მან თავისუფლად აიტაცა 92,5 კილოგრამი და ორი მოძრაობის ჯამში უახლოეს მეტოქეს აფხაზეთიდან ა. ჰოლოკიანს 15 კილოგრამით გაუსწრო. უკანასკნელ მოძრაობაში პირველი ცდით დაძლეული 115 კილოგრამით დათიკაშვილმა გაინაღდა ჩემპიონის სახელი და დარჩენილი ორი ცდა რესპუბლიკური რეკორდის გაუმჯობესებას მოანდომა, მაგრამ უშედეგოდ. მისივე რეკორდი 122,5 კილოგრამი უცვლელი დარჩა.

ქვემსუბუქ წონაში პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ სპორტის ოსტატები აჭარელი ა. სურმანიძე და თბილისელი ა. გრიგორიანი. მათი საინტერესო ბრძოლა სურმანიძის გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგის ჩვენება ვერც ერთმა ვერ შეძლო. მესამე ადგილი კიროვის სახელობის ქარხნის გუნდის წევრს ი. წოწოლაშვილს ერგო. აღსანიშნავია ამ წონით კატეგორიაში ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის ბათუმელი გ. მჭედლიძის გამოსვლა. მან სამჭიდში დააგროვა 285 კილოგრამი და ი. წოწოლაშვილს მხოლოდ 5 კილოგრამით ჩამორჩა.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო მსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრება. გარდა იმისა, რომ ამ წონაში 16 ძალოსანი გამოდიოდა, მოსალოდნელი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. ჩიმიშკიანის მონაწილეობაც (იგი გამოვიდა კიდეც, სცადა აკვრაში რეკორდის დამყარება, მაგრამ ამაოდ). პირველობის პრეტენზია ერთდროულად ოთხმა მონაწილემ, სპორტის ოსტატებმა შ. კაცობაშვილმა, კ. ჩალათაშვილმა და პირველთანრიგოსნებმა ნ. ინჯგიამ და დ. ეპრიკიანმა განაცხადეს. პირველი ორი მოძრაობა მათ უმტკივნეულოდ განვლეს, მაგრამ აკვრა ოთხივემ წარუმატებლად დაიწყო, სასურველი წონა პირველ მისვლაზე ვერც ერთმა ვერ აჰკრა. უშედეგოდ იყო — კაცობაშვილის და ჩალათაშვილის მეორე ცდაც. შემდეგ კაცობაშვილმა მობილიზაცია უყო თავის ძალებს, უკანასკნელი ცდით დაძლია 135 კგ და სამჭიდში დააგროვა 347,5 კილოგრამი. ჩალათაშვილმა მიიღო 0 და შეჯიბრებას გამოაკლდა. 135 კილოგრამის აკვრა შეძლო აგრეთვე კიროვის ქარხნის გუნდის წარმომადგენელმა პირველთანრიგოსანმა ნ. ინჯგიამ. პირველი ადგილის ბედი სასწორმა გადაწყვიტა, კაცობაშვილი ინჯგიაზე რამდენიმე ათეული გრამით ნაკლები აღმოჩნდა და თანახმად დებულებისა, ჩემპიონობაც მას მიეკუთვნა.

მსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელმა ი. ეპონეშნიკოვმა, 21 წლის თბილისელმა პ. ლომიძემ და განსაკუთრებით აჭარის გუნდის წევრმა გ. კომალოვმა, რომელმაც აკრა 128 კილოგრამი და 3 კილოგრამით გააუმჯობესა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სვეტილკოს მიერ 20 წლის წინ დამყარებული აჭარის რეკორდი.

შეჯიბრება გრძელდება.

კ. ზაუტაშვილი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.
ა. ბარნოვი

ბაქოდან გვატყობინებენ

ბაქო. ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან. გუშინ ბაქოში დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ჩემპიონატში მონაწილეობს 17 გუნდი, 201 მოჭიდავე იბრძვის საკუთარი კოლექტივის ღირსებისათვის. გათამაშებაში ასეთი პირობაა: სამჯერ წაგებისათვის გუნდი სტოვებს შეჯიბრებას, მოგება — სამი ქულა, ფრე — ორი ქულა, წაგება — ერთი ქულა.

გუშინ, ჩვენი გუნდი შეხვდა ლატვიის გუნდს როგორც ყოველთვის, ახლაც პირველი გამარჯვება დიდი უპირატესობით მოიპოვა მირიან ცალქალამანიძემ. ასეთივე შედეგით დამთავრდა სალარაძის ჭიდაობა ბსესინსთან. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა არსენიანმა, ხოლო რუბაშვილმა, გვიმრაძემ, დავლიანიძემ, ლომიძემ და კანდელაკმა წმინდა გამარჯვებას მიაღწიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დავლიანიძის ჭიდაობა. მან მოწინააღმდეგე 20 წამში დაამარცხა. ლატვიისაა და საქართველოს გუნდების ანგარიშია 24:8.

ამ დღის ყურადღების ცენტრში იყო აზერბაიჯანისა და მოსკოვის გუნდების შეხვედრა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოსკოველ ჯლამაძისა და აზერბაიჯანელ ახმედოვის შეხვედრა. წმინდა გამარჯვებას მიაღწია აზერბაიჯანელმა და თავისი გუნდი წინ გაიყვანა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ გაიმარჯვეს მოსკოველებმა ნიკარაძემ, ნონიკაშვილმა და ამ ორი ძლიერი კოლექტივის შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 18:14.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მოჭიდავეები მონაწილეობენ სხვადასხვა გუნდებში. მაგალითად, სომხეთის გუნდიდან გამოდიან გაგაშვილი და ხაჩიძე, მოლდავეთიდან — კანდელაკი და კიკაბიძე. თურქმენეთიდან — სუხიშვილი და ტალალაძე, ლიტვიდან — გიორგობიანი .

შეჯიბრება გრძელდება.

გათამაშდება 5 ჯილდო

რიგა. (ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა XX ჩემპიონატის მონაწილეებს დაეთმო ლატვიის დედაქალაქის ოფიცერთა სახლის მშვენიერი დარბაზი. ლატვიის გაზეთებმა და ჟურნალებმა დააწესეს ხუთი სპეციალური ჯილდო: საუკეთესო პარტიისათვის, ყველაზე მეტი გამარჯვებისათვის, ბოლო 5 ტურში საუკეთესო შედეგისათვის, პირველი ექვსი გამარჯვებულის წინააღმდეგ უკეთესი შედეგისათვის და პირველთანრიგოსნის მიერ ოსტატთა წინააღმდეგ უკეთესი შედეგისათვის.

I ტურში არ შედგა მხოლოდ ზვორიკინა-კაკაბაძის პარტია მინსკელი ოსტატის ავადმყოფობის გამო. იგი გაიმართა გადადებული პარტიების დღეს და გადაიდო ზვორიკინას უპირატესობით. დაძაბულად მიმდინარეობდა იგნატიევა-გაფრინდაშვილის შეხვედრა. ქართველი მოჭადრაკე ენერგიულად უტევდა მეტოქეს, შეძლო პაიკის მოგება და პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო. მაგრამ მისი დამთავრებისას ვერ მონახა უპირატესობის რეალიზაციის გზა, დაკარგა ზედმეტი პაიკი და ყაიმზე შეუთანხმდა მოწინააღმდეგეს. ტოგონიძემ დასაწყისშივე დახშული პოზიცია მიიღო როოტარეს წინააღმდეგ. ამაო აღმოჩნდა მისი ცდა გაეხსნა თამაში. ესტონელი ოსტატი მეთოდურად აძლიერებდა პოზიციას. მატერიალური ზარალის შემდეგ ტოგონიძემ თავი დამარცხებულად ცნო. ჩაიკოვსკაიას წინააღმდეგ თამაშობდა 22 წლის კოზლოვსკაია. თბილისელმა აირჩია პოზიციური ბრძოლის გზა. ეს გეგმა სწორი გამოდგა. კოზლოვსკაია მალე უარეს პოზიციაში აღმოჩნდა და დაცვაზე გადავიდა. ჩაიკოვსკაიას სტრატეგიას მოჰყვა პაიკის მოგება. გადადებული პარტიების დამთავრებისას ჩაიკოვსკაიამ პირველი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ვოლპერტმა მოუგო დმიტრიევას, კუშნირმა — ვიტკოვსკაიას, რუბცოვამ — კრიუკოვას.

II ტურში ჩაიკოვსკაიასი და ტოგონიძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, თუმცა იგი ორ დღეს გაგრძელდა. გაფრინდაშვილი თითქმის ყოველთვის წარუმატებლად თამაშობს ბორისენკოს წინააღმდეგ, ამიტომ ამჯერად მან მძლავრი შეტევით დაიწყო ბრძოლა სვერდლოვსკელ ოსტატთან. მაგრამ გართულებებს არაფერი მნიშვნელოვანი არ მოჰყოლია — ყაიმი. ვერც კაკაბაძემ გატეხა ლიტველი კაუშილაიტეს თავდადებული წინააღმდეგობა. მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

კუშნირი დამარცხდა ვოლპერტთან, ვიტკოვსკაია—იგნატიევასთან, როოტარე — ზატულოვსკაიასთან, ზვორიკინა — კოზლოვსკაიასთან, ყაიმით დასრულდა კრიუკოვა-იგნატიევას პარტია.



საზოგადოებრივი ინსტრუქტორი

რუსთავის გარეუბანი. თითქოს ბუნებამ სპეციალურად შექმნა შესანიშნავი პირობები კროსის მოყვარულთათვის — აღმართები, რთული მოსახვევები, ფონი, ბუნებრივი ტრამპლინები. სწორედ ამიტომ აქ ხშირად ნახავთ ვარჯიშით გატაცებულ საქართველოს საუკეთესო მოტოციკლისტებს

აი ა. კილინის მანქანამ აიწია ტრამპლინიდან ჰაერში. რკალი მოხაზა, შემდეგ მიწაზე რამდენიმე მეტრი გაიარა, ჩაუქროლა ჭაბუკებს და აღმართს შეუდგა, მაგრამ მძღოლმა შეამჩნია მწვრთნელის გივი გოძიაშვილის ხელის მკვეთრი მოძრაობა და ადგილზე „გააქვავა“ მოტოციკლი.

— ნახტომი კარგია, მაგრამ კვლავინდებურად დიდ დროს კარგავ სისწრაფის გადართვაზე. ხშირად არასწორად უმატებ გაზს. —უთხრა მწვრთნელმა კილინს და ერთხელ კიდევ მიუთითა რომელ აღმართზე მოუმატოს გაზი, სად შეამციროს სისწრაფე, როგორ უნდა ეკავოს სხეული ამა თუ იმ ხასიათის მოსახვევში.

— მიყურეთ, — გასძახა მან სპორტსმენებს და მანქანა დაძრა. იგი მსუბუქად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მართავდა მას. მის მიერ ყოველი მოსახვევის, აღმართისა თუ ტრამპლინის დაძლევისას იგრძნობოდა ნებისყოფის სიმტკიცე, მდიდარი ტექნიკა.

ასეთი შეუპოვარი იყო გივი ამას წინათ ჩატარებულ მოტოკროსზეც. მაშინ მან ყველას გაასწრო. საჭეზე დახრილი ჩიტივით მიფრინავდა. მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე მეტრზე მოსახვევში ჩაუქრა მოტორი და... დაჰკარგა აშკარა გამარჯვება. თავისი შესანიშნავი ოსტატობით მან სხვა მრავალ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზეც ისახელა თავი.

გივი გოძიაშვილს ადრე ველორბოლა იტაცებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოტოციკლის მართვა ისწავლა და მანქანა შეიძინა, მას ანაცვალა ყველაფერი და მალე რეგულარული წვრთნით რუსთავში საუკეთესო სპორტსმენის სახელი მოიპოვა. არავინ ჰყავდა მწვრთნელი და რჩევისათვის ხშირად თბილისში სპორტის ოსტატ თ. ჩხაიძესთან უხდებოდა ჩამოსვლა. ისიც არ იზარებდა, ურჩევდა სათავეში ჩადგომოდა რუსთავში სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულთა ჯგუფს.

ამხანაგის წინადადებამ დააფიქრა გ. გოძიაშვილი და მალე დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივ მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარებზე დაიწყო სიარული. წარმატებით აითვისა პროგრამა და გახდა საზოგადოებრივი მწვრთნელი. ერთი დღეც არ დაუკარგავს ამის შემდეგ უქმად ჰყავს, იგი უანგაროდ გადასცემს მოტოსპორტის მოყვარულებს ცოდნას, რომელსაც რეგულარულად აღრმავებს.

სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უფროს ოპერატორს, საუკეთესო საზოგადოებრივ ინსტრუქტორს გ. გოძიაშვილს ჯერჯერობით არც ერთი ოსტატი არ მოუმზადებია, მაგრამ სურვილი დიდი აქვს და სადაც სურვილი და მონდომებაა — იქ გამარჯვებაცაა.

სურათზე: საზოგადოებრივი ინსტრუქტორი გ. გოძიაშვილი (მარცხნივ) თავისი სექციის წევრს აცნობს ტრასას.

ფოტო და ტექსტი
ფ. მიაგკოვისა.

ჩვენი ოლიმპიელები

ლ. გოგოლაძე

საცურაო აუზში ჭაბუკების სწრაფ და მოხდენილ ცურვას ლერიმ თვალი ვერ მოწყვიტა... ბოლოს გამოერკვა, მწვრთნელი პ. დადიანიძე მოძებნა, მისვლის მიზეზიც აუხსნა.

მცირე ხანს შემდეგ იგი გაუბედავად მიუახლოვდა აუზის კიდეს. გარშემო მოცურავეები შემოეხვივნენ.

— ადუღებული წყალია, არ ჩახვიდე, დაიწვები!

— გატყუებს. ისეთი ცივია, გაიყინები!

ბოლოს მწვრთნელიც გამოჩნდა. ბიჭებმა ლაზღანდარობა შეწყვიტეს და საჩქაროდ გადაცვივდნენ აუზში.

* * *

ლერის სულითა და გულით შეუყვარდა ცურვა. ბეჯითად გადიოდა წვრთნას, გულმოდგინედ უსმენდა ა. დადიანიძის რჩევა-დარიგებას და დღითიდღე სრულყოფდა ცურვის ტექნიკას... მალე იგი ერთგვარი „სიბრალულით“ უცქერდა აუზის კიდეზე ჩამომსხდარ ახალბედებს.

ერთხელ ვარჯიშზე დააგვიანდა. როცა საცურაოდ მოემზადა და აუზის თავში დადგა, თვალი მოკრა, რომ იგი უცნობ მოცურავეებს დაესაკუთრებინათ. აუზის საწინააღმდეგო მხარეებზე მინიატურული კარები ტივტივებდნენ. ჭაბუკები ერთმანეთს აწოდებდნენ ბურთს და ძლიერად ტყორცნიდნენ კარში. ხშირად ბადე უცნაურად შეტოკდებოდა ხოლმე და ბურთი თევზივით ფართხალებდა მასში.

— თუ ცურვა იცი, კარში დადექი, მეკარე გვაკლია... — უთხრა აუზში მყოფმა ამხანაგმა და ხელახლა ჩაება თამაშში.

გახარებულმა ლერიმ კარი დაიკავა. ხშირად ებმებოდა თამაშში და სისწრაფის ხარჯზე თავდამსხმელებს ბურთის დაუფლებაში სჯობდა. დაღლილი მოთამაშეები წყლიდან ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ, ლერის კი ბოლომდე არ დაუტოვებია თავისი ადგილი...

შემდგომში მას აღარც დაუტოვებია ეს ადგილი და „ნორჩ დინამოელთა“ მეკარე გახდა.

* * *

1956 წელი. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის პირველობაზე წყალბურთში. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა მეორე საპატიო ადგილი დაისაკუთრა. როცა უკანასკნელი მატჩის ბოლო წამები მიილია, ამხანაგები თავიანთ მეკარეს მისცვივდნენ და რიგრიგობით გადაკოცნეს. იმ დღეებში გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ საგანგებოდ აღნიშნავდა ნიჭიერი ქართველი წყალბურთელის — ლერი გოგოლაძის თამაშს და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა მას.

* * *

გავიდა ორი წელი. ლ. გოგოლაძე უკვე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის — თბილისის „დინამოს“ კარს იცავდა. იმ წელს თბილისის „დინამომ“ მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. შეიძლება ამ საპრიზო ადგილის დაკავება იმ ერთმა ბურთმაც გადაწყვიტა, რომელიც ლ. გოგოლაძემ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან თამაშის დროს აიღო შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე, როცა „დინამო“ წინ იყო — 3 : 2. მოსკოველ კ. რაშმაჯიანის უძლიერესმა დარტყმამ ორი მეტრის მანძილიდან მიზანს ვერ მიაღწია...

* * *

1958 წელს თბილისს ესტუმრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. წყალბურთის მოყვარულთ ალბათ ახსოვთ გოგოლაძისა და უძლიერესი გერმანელი თავდამსხმელის — ვოფსის „დუელი“. ანგარიში 4 : 0 თბილისელთა სასარგებლოდ მეტყველურად ლაპარაკობს ამ ორთაბრძოლის შედეგზე...

ამ თამაშს ესწრებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო მწვრთნელი წყალბურთში ვ. უშაკოვი. როცა მატჩი დამთავრდა, იგი აუჩქარებლად წამოდგა და გასასვლელისაკენ გაემართა.

— ნიჭიერი მეკარეა გოგოლაძე. მისი შეყვანა საბჭოთა კავშირის ნაკრებში ახლავე შეიძლება. გამოცდილება მოემატება და მაშინ ძნელად თუ ვინმემ აჯობოს, —ასე ფიქრობდა იგი. იმავე წელს ლ. გოგოლაძე საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს.

* * *

შესანიშნავი ოსტატობა აჩვენა გოგოლაძემ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე. მაყურებლები ტაშით აჯილდოვებდნენ ქართველი მეკარის ლამაზ და თავგანწირულ თამაშს. წყალბურთის საზღვარგარეთელი სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის ოსტატობას, ხოლო ცურვის ევროპული ლიგის პრეზიდენტმა უნგრელმა ბ. რაიკმა ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ შეკითხვაზე, თუ ვინ მიაჩნია მას შეჯიბრების საუკეთესო სპორტსმენად, უპასუხა: „საქართველოს ნაკრების მეკარე — გოგოლაძე. იგი დიდი ტალანტია და ეჭვგარეშეა, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე იქნება“.

მას შემდეგ მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა ქართველმა წყალბურთელმა, მრავალი ჯილდო დაისაკუთრა... მაგრამ არც ერთი ისე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც რომის ოლიმპიადაზე მიღებული ვერცხლის მედალი. აქ ჩაატარა მან ბრწყინვალე მატჩი უნგრეთთან და იუგოსლავიასთან. იტალიური გაზეთები ასე აღნიშნავდნენ ლ. გოგოლაძის თამაშს:

„უნიტა“: „შესანიშნავმა საბჭოთა მეკარემ — ლ. გოგოლაძემ განაიარაღა სერბები“.

„მესაჯერო“: — „განსაცვიფრებელი მეკარე, რომლის კარში ბურთის გატანა ძნელზე ძნელია“.

* * *

ბინდი ნელ-ნელა წვება. ოთახში შემოდის საღამო და შემოაქვს რაღაც უცნაური სიმშვიდისა და სიმსუბუქის განცდა. ღია ფანჯარასთან ზის მაღალი, ქერა ახალგაზრდა და მონდომებით ჩაჰკირკიტებს წიგნს. გადაშლილი რვეული მათემატიკური ფორმულებით არის სავსე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ლერი გოგოლაძე მორიგ სემინარს ამზადებს.

როცა ჩემი მისვლის მიზეზი ვუთხარი, წყნარად მიპასუხა:

— თუ ძალიან საჭირო არ არის...

მაგრამ შემდეგ დამეთანხმა და ფურცელზე გაცოცხლდა მისი შესანიშნავი სპორტული ბიოგრაფია.

შ. ჟიჟიაშვილი

გორში დაიწყო ჩემპიონატი

18 ნოემბერს გორში დაიწყო საკავშირო პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში სოფლის სპორტსმენებს შორის.

ჩატარდა პირველი წრე ყველა წონაში და მეორე წრე უმსუბუქეს წონაში. კარგად დაიწყო შეჯიბრება საქართველოს გუნდის წევრმა ნ. ერმიდიმ. მან პირველ წრეში ქულებით დაამარცხა უზბეკი ხობაევი, ხოლო სუფთად (4 წუთში) სომეხი ვარდანიანი. მძიმე წონაში წაგების შემდეგ რ. რურუამ ქულებით დაამარცხა ამბარცუმიანი (სომხეთი), ფ. შამუგიამ — კისაევი (აზერბაიჯანი), ა. ცანავამ—ყირგიზი მალახსანოვი. ქვემძიმე წონაში ო. ალავიძემ ფრედ იჭიდავა გომანთან (ბელორუსია).

გუნდურ ჩათვლაში შეჯიბრებას ლიდერობენ რსფსრ, უკრაინა და საქართველო.

შეიძინეთ ეს წიგნები

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მრავალი დასახელების წიგნი გამოდის, რომლებიც მიძღვნილია ფიზკულტურისა და სპორტისადმი. აღნიშნული ლიტერატურა დიდ დახმარებას უწევს ფიზკულტურის კოლექტივებს მუშაობის უკეთ წარმართვაში, სპორტსმენებს — თავიანთი სპორტული სახეობის ტექნიკისა და ტაქტიკის დაუფლებაში.

ახლახან გამომცემლობა „პროფტეხიზდატმა“ გამოსცა ა. კოლტანოვსკის მიერ შედგენილი ალბომი „დილის ტანვარჯიში“. მასში შესულია ათასზე მეტი ვარჯიში მოსწავლეთათვის, რომლებიც დაეხმარება მათ ჯანმრთელობის გაკაჟების, ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების, ცხოვრებისათვის საჭირო ჩვევების — ძალის, გამძლეობის, მოქნილობისა და სხვა ძვირფასი თვისებების შეძენის საქმეში.

ამ გამომცემლობის მიერ გამოშვებულია მეორე ალბომი—ბ. აპუხტინის „ფეხბურთის ტექნიკა“. იგი დიდად დაეხმარება სპორტის ამ სახეობის სპეციალისტებს, ფეხბურთელებს, რადგან მასში შესულია ლამაზად გაფორმებული პლაკატები, რომლებიც ასახავენ ფეხბურთის თამაშის თანამედროვე ტექნიკას.

ფიზკულტურის კოლექტივების ხელმძღვანელებო, სპორტსმენებო, შეიძინეთ ეს საჭირო და სასარგებლო ალბომები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 1960 წლის ჩემპიონი ფეხბურთში ქუთაისის „იმერეთი“. მარცხნიდან პირველ რიგში — მწვრთნელი სპორტის ოსტატი ა. კილაძე, ა. ავალიანი, ქ. კვიტივაძე, ბ. ბობოხიძე, ა. ნაჭაფოვი, ნ. მიქაია, ჯ. კვიმსაძე, ა. საფაროვი, გ. ფირცხალავა, ა. აფრიდონიძე, მეორე რიგში — გ. პატარაია, დ. აბუთიძე, ვ. შალამბერიძე, ო. დოლონაძე, გ. წერეთელი. ზ. ხუხუნეიშვილი, ქ. ჩუხუა, თ. ჭოლოკავა.

ფეხბურთის სპეციალისტები მიკროფონთან

დამთავრდა 1960 წლის საფეხბურთო სეზონი ჩვენს ქვეყანაში. მართალია, აქა-იქ გრძელდება საერთაშორისო მატჩები საბჭოთა ფეხბურთელთა მონაწილეობით, მაგრამ ძირითადი — უკვე განვლილია.

დადგა გარდახდილ ბრძოლათა ანალიზისა და დასკვნების გამოტანის, აგრეთვე მომავალ სიახლეთა და პერსპექტივების განხილვის დრო. ამიტომ ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია საკავშირო რადიოკომიტეტის უკანასკნელ ცნობათა რედაქციის სპორტული განყოფილების მიერ 17 ნოემბერს მოწყობილმა საუბარმა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარესთან ვ. გრანატკინთან და მის მოადგილესთან — ან. სტაროსტინთან.

ფეხბურთის სპეციალისტებმა პასუხები გასცეს მათ წინაშე დასმულ მთელ რიგ შეკითხვებზე.

ფედერაციის ხელმძღვანელების აზრით „ა“ და „ბ“ კლასების გუნდების თამაშის საერთო დონე ჩვენს ქვეყანაში ამაღლდა, დიდი წარმატება ხვდა წილად საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელმაც მოიპოვა ევროპის თასი. მაღალი კლასის, სტაბილური თამაში აჩვენეს მოსკოვის „ტორპედომ“, კიევის „დინამომ“ და როსტოვის არმიელთა გუნდმა.

გათამაშების ახალმა სისტემამ ძირითადად გამართლება ჰპოვა. მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ საჭიროა ცვლილებათა შეტანა ჩემპიონატის ფინალური სტადიის გათამაშებაში. კერძოდ, ფინალის მონაწილენი უნდა დაიყონ არა 4 ჯგუფად, როგორც ეს წელს იყო, არამედ 2 ჯგუფად (11-11 თვითეულში). გარდა ამისა, წინასწარ ქვეჯგუფებში ნათამაშევი მატჩები ავტომატურად უნდა გადავიდეს ფინალურ ჯგუფებშიც, ვინაიდან 4 მატჩი ერთიდაიმავე მოწინააღმდეგეებს შორის მეტისმეტად ბევრია და გაუმართლებელიც.

„ა“ კლასში წელს მოხდა უმნიშვნელო ცვლილებები (მას დაემატა მხოლოდ ერთი გუნდი — ვორონეჟის „ტრუდი“). მომავალში საჭირო იქნება განახლდეს გადასასვლელი მატჩები „ა“ კლასის გუნდებსა და „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა ზონების გამარჯვებულთა შორის. კერძოდ, ვ. გრანატკინმა ხაზი გაუსვა, რომ ისეთი გუნდები, როგორებიცაა თბილისის „ლოკომოტივი“ და ქუთაისის „ტორპედო“, გაიზარდნენ „ა“ კლასის დონემდე და მათ მეტი გაქანების საშუალება უნდა მიეცეთ. 1962-63 წლებიდან „ა“ და „ბ“ კლასებს შორის გუნდების მოძრაობამ უნდა მიაღწიოს 3 ერთეულს (თითო-თითო რსფსრ-ს, უკრაინისა და მოკავშირე რესპუბლიკებიდან).

შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობა 1961 წელს, ფედერაციის ხელმძღვანელობამ გასცა ასეთი პასუხი: ჩვენის აზრით, ეჭვს არ იწვევს შემდეგი კანდიდატურები: მეკარე ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი), მცველი — გ. ჩოხელი („დინამო“, თბილისი), ნახევარმცველები — ვ. ვორონინი, ნ. მანოშინი („ტორპედო“, მოსკოვი), თავდამსხმელები — ს. მეტრეველი, ვ. ივანოვი („ტორპედო“, მოსკოვი) ვ. პონედელნიკი (სკა, როსტოვი), მ. მესხი („დინამო“, თბილისი). გადაჭრით არ შეიძლება რაიმე გარკვეულის თქმა ცენტრალური მცველის, მარცხენა მცველისა და მარცხენა შუამარბის ვაკანტური ადგილების შესახებ.

რადიოკომენტატორმა ნ. ოზეროვმა შეკითხვა მისცა ვ. გრანატკინს, თუ ვინ მიაჩნია მას საბჭოთა კავშირში საუკეთესო მოთამაშეებად ცალკეულ ადგილებზე. ფედერაციის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ განვლილ სეზონში საუკეთესო მეკარე იყო ლ. იაშინი, საუკეთესო მცველი — გ. ჩოხელი და საუკეთესო ფორვარდი — მ. მესხი.

ამავე კითხვაზე ან. სტაროსტინი დაეთანხმა ვ. გრანატკინს მეკარისა და მცველის განსაზღვრაში (ლ. იაშინი, გ. ჩოხელი), მაგრამ თავდასხმაში, მისი აზრით, წელს უძლიერესი იყო ვ. ივანოვი.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის აზრთა სხვადასხვაობას არ ჰქონია ადგილი იმის განსაზღვრაში, თუ ვინაა ჩვენს გუნდებში საუკეთესო კაპიტანი, ყველაზე უფრო კორექტული და თავაზიანი ფეხბურთელი, სანიმუშო სპორტსმენი, რომელიც ჭეშმარიტად სამაგალითოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ვ. გრანატკინმა და ან. სტაროსტინმა დაასახელეს თბილისის „დინამოს“ კაპიტანი — ავთანდილ ღოღობერიძე.

შეკითხვაზე, თუ რომელმა მატჩებმა მოახდინეს ფედერაციის ხელმძღვანელებზე ყველაზე მეტი შთაბეჭდილება წელს, მათ უპასუხეს, რომ საერთაშორისო მატჩებს შორის საუკეთესო იყო გადამწყვეტი შეხვედრა ევროპის თასზე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის, ხოლო ჩვენს ქვეყანაში — საბჭოთა კავშირის თასის ფინალი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. ამას გარდა ან. სტაროსტინმა გაიხსენა მოსკოვის ტორპედოელთა საინტერესო მატჩები როსტოვის არმიელებთან და მოსკოვის „დინამოსთან“.

ფეხბურთელები საქართველოდან

თბილისის „დინამოს“ მიერ „შეფილდ უენსდეისთან“ წაგების შემდეგ ბილი კეიმ მოსკოვიდან „მგლებს“ მისწერა გამაფრთხილებელი წერილი. რომელსაც მთლიანად ვაქვეყნებთ.

რამდენიმე წლის წინათ ვიმოგზაურე „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირში. როცა ვბრუნდებოდით სამშობლოში, ჩვენ გაგვიმართეს ბანკეტი, სადაც რეი შარლოუს, ბობ რობსონს, დერეკ კევანსა და რონი ალენს შევეკითხე, თუ რომელი ქალაქი მოეწონათ ყველაზე უფრო. მათ ერთხმად აღიარეს: თბილისი. ხოლო მეორე კითხვაზე, თუ რომელი ფეხბურთელი მოეწონათ, ერთხმად მიპასუხეს: კოტრიკაძე.

საქართველოში ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ინგლისელ ფეხბურთელებს თავი სამშობლოში ჰგონებოდათ. თუმცა „დინამომ“ წააგო — 0:3, ამან ვერ შეაჩერა ფეხბურთის მოყვარულები-მოსწონებოდათ „ალბიონი“. ამას იმიტომ გიყვებით, რომ თბილისის „დინამო“ დღეს თამაშობს „მგლებთან“ და მსურს გაგაცნოთ იგი. მოსკოვში ჩამოსულმა ინგლისელმა მითხრა, რომ ბრიტანეთის ფეხბურთის მოყვარულნი მაინცდამაინც კმაყოფილნი არ დარჩნენ, როცა გაიგეს მოსკოვის „დინამოს“ ნაცვლად თბილისის „დინამოს“ ჩამოსვლა. მე მსურს თქვენ იცოდეთ, რომ ამჟამად თბილისის „დინამო“ გაცილებით უკეთესი გუნდია. ისეთი თამაში, როგორც ჩვენ ვნახეთ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის საკავშირო თასზე, დიდი ხანია არ გვინახავს.

როცა საბჭოთა კავშირში შეიქმნა ფეხბურთის ლიგა, მისი ერთ-ერთი პიონერები თბილისელი დინამოელებიც იყვნენ. მოსკოვის „დინამოს“, „სპარტაკისა“ და არმიის გუნდებთან ერთად ქართველებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ფეხბურთის განვითარებაში.

რამდენიმე წლის წინათ რუსები ზეიმობდნენ საბჭოთა ფეხბურთის 60 წლისთავს. ცნობილი ფეხბურთელების სურათების გამოფენაზე თქვენ ნახავდით ქართველი ფეხბურთელების პორტრეტებსაც. მათ შორის ბორის პაიჭაძეს, რომელიც ბურთის ჯადოქარი და გასაოცრებელი სნაიპერი იყო. ძველი თაობის წარმომადგენელია ავთანდილ ღოღობერიძეც. ის თბილისელებს ჩამოჰყვა ინგლისში, თუმცა პირველი მატჩი არ უთამაშია. მიუხედავად თავისი ასაკისა, იგი ძლიერია და გუნდის დასაყრდენს წარმოადგენს. გუნდის შემადგენლობის მთლიანად შეცვლამ ახალგაზრდებით თბილისის „დინამო“ ჩემპიონატის ცხრილში დაბლა დასწია. სამაგიეროდ ამან ნაყოფი გამოიღო. ვეტერან ღოღობერიძესთან ერთად გუნდში არიან, ახალგაზრდა ფეხბურთელები მესხი, ჩოხელი და კალოევი. სამივე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები არიან.

თბილისის „დინამომ“ ბევრი იმოგზაურა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ტრიუმფალური იყო მისი ტურნე საფრანგეთში. თქვენ უნდა წახვიდეთ და ნახოთ თბილისის „დინამოს“ თამაში. თუ თქვენ მინდორზე იხილავთ 11 ფეხბურთელს ულვაშებით, ნუ გაიკვირვებთ, ასეა საქართველოში. თქვენ ნახავთ სწრაფ, ჰკვიან და მახვილგონიერ ფეხბურთელთა გუნდს — თბილისის „დინამოს“.

„დეილი უორკერი“

ინგლისურიდან თარგმნა

ზ. შოშიტაშვილმა.

„ლოკომოტივის“ გამარჯვება

გუშინდელი მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა“ და ერევნის „სპარტაკს“ შორის, რომელიც თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა, ამხანაგური ხასიათისა იყო, მაგრამ იგი ჩატარდა ისე საინტერესოდ, რომ მას შეიძლება გაცილებით მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ, ვიდრე ეს ამხანაგურ შეხვედრებს აქვთ ხოლმე.

„ლოკომოტივმა“ გუშინ გვიჩვენა თავისი პოტენციური შესაძლებლობანი და დაგვიმტკიცა, რომ მას შესწევს ძალა ებრძოლოს ძლიერ მოწინააღმდეგეებს.

უკვე პირველ წუთზე ახალკაცმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო მცირე ხანს შემდეგ ცერცვაძემ არაზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი საჯარიმო.

მეორე ტაიმი მთლიანად თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და ახალკაცმა და მიროშნიკომ კიდევ ორი ბურთი გაიტანეს ზატიკიანის კარში — 3:0. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ბურთი ორჯერ მოხვდა ერევნელთა კარის ძელს, ხოლო მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ურთქმელიძემ ორჯერ ვერ შეძლო ანგარიშის გაზრდა.

„გურია“ — მეორე ადგილზე

ფეხბურთში საქართველოს პირველობის ფინალური ჯგუფის მონაწილეთა მატჩს უნდა გამოერკვია, თუ ვინ დაიკავებდა ამ ხანგრძლივ, ძნელ ტურნირში მეორე ადგილს. ერთმანეთს შეხვდნენ „გურია“ (ლანჩხუთი) და „მეშახტე“ (ტყიბული).

ბრძოლას თავიდანვე დაძაბული და მწვავე ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთო უპირატესობა ტყიბულელებს ეპყრათ, მათი შეტევების უმრავლესობა უნაყოფოდ მთავრდებოდა და სავსებით კანონზომიერადაც. მართალია, დამაჯერებლად მოქმედებდა დაცვა და ნახევარდაცვა, რომლებსაც ინიციატივა ჰქონდათ შუა მინდორზე, მაგრამ თავდასხმაში ფაქტიურად სახიფათოდ თამაშობდა მხოლოდ ორი ფორვარდი — სირაძე (№ 9) და ავაქოვი (№ 11), მათ ერთობ სუსტად ეხმარებოდნენ შუამარბები, ხოლო ელიაშვილი მარჯვენა ფრთაზე თითქმის სრულიად არ მონაწილეობდა თამაშში.

ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა მეორე ტაიმში. მე-15 წუთზე ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა ვერ გამოიყენა „მეშახტემ“, ხოლო მცირე ხანს შემდეგ ნარიაშვილმა („გურია“) სულ ახლო მანძილიდან აცილა ბურთი კარს.

36-ე წუთზე „მეშახტის“ კართან მარცხენა მხრიდან მოწოდებულ იქნა ბურთი. იგი მიიღო მცველმა კიზირიამ და ნელა მიაწოდა თავის მეკარეს, მაგრამ ქურციკიძე წამით დაიბნა და გაუშვა სრულიად იოლი ბურთი.

მატჩი დამთავრდა „გურიის“ გამარჯვებით — 1:0. ლანჩხუთელთა შეთამაშებულმა, მეგობრულმა კოლექტივმა დამსახურებულად დაიკავა საპატიო მეორე ადგილი საქართველოს 1960 წლის ჩემპიონატში.

• • •

გუშინ დაიწყო გათამაშება მეორე ჯგუფის გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან პირველ ჯგუფში გადასვლისათვის. „რიონმა“ (ქუთაისი) მოუგო „მექანიზატორს“ (ადიგენი) — 2:0.

ლ Ე ლ Ო

80-3 83. № 137 (1619)

ქვესკნელები საიდუმლოებას თმობენ

ვ. გაბელაშვილი

ტყიბულის სპელეოლოგიურ-სპორტული ჯგუფის ხელმძღვანელი



თავიდან ფეხებამდე სველი ვდგევარ 9-მეტრიანი ჩანჩქერის ძირში. აქედან ხეობა ზიგზაგებით მიემართება. ჯერ პირველი ჩანჩქერის ხმა არ მიმწვდარა, რომ მეორის ღრიალი მოგვესმა. 15-მეტრიან შვეულ კლდეზე თოკის კიბე ჩავუშვით და ჩავყევით ქვევით. წყლის ცემა ხედვის საშუალებას გვისპობს. თოკის კიბემ მოზრდილ ტბაში ჩამიყვანა, რომელშიც ხმაურით ეშვება ჩანჩქერი. ტბის გასაცურად საჭიროა ნავი. ავდივარ ზევით.

შემდეგ მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს პედაგოგმა გ. ლანჩავამ და ინჟინერმა ა. ჩაკვეტაძემ. ჩვენ შემოგვიერთდა აგრეთვე მარკშეიდერი მ. ფორჩხიძე, რომელმაც ურთულეს პირობებში აწარმოა მღვიმის აგეგმვა, და ალპინისტი ნ. მუშკუდიანი. ჩვენი ექსპედიციის სული და გული იყო ა. ნემსიწვერიძე. მისი დიდი ალპინისტური ტექნიკა და სპელეოლოგიური გამოცდილება, შეერთებული ახალგაზრდულ ძალებთან, გამარჯვების გარანტია იყო.

ჩვენი იერიში გავყავით ორ ეტაპად. გადავწყვიტეთ პირველ ეტაპზე შესაძლებლობის მიხედვით გვევლო წინ და შეგვეზიდა მღვიმეში ის საჭურველი, რითაც საბოლოო იერიშის ბედი გადაწყდებოდა.

7 ოქტომბერს, დილის 7 საათზე, მღვიმეში შევდივართ შვიდნი, მძიმედ დატვირთულნი თოკებით, თოკის კიბეებით, რეზინის ნავით და სხვა საჭირო საჭურველით. 3 საათის სიარულის შემდეგ თავს გადავადექით 15-მეტრიან ჩანჩქერს. თოკის კიბით ჩავდივარ ჩანჩქერზე. ზემოდან უშვებენ გაბერილ რეზინის ნავს, რომელსაც სწრაფად ავსებს წყალი. ზემოთ დარჩენილი ამხანაგების დახმარებით გადმოვაპირქვავე იგი და შევაცურე პატარა უბეში. თოკის კიბიდან გადავდივარ ნავში. იწყება ჩვენი „აგრონავტიკა". გადავცურე ტბა და მივუახლოვდი ტბის ბოლოში მდგარ კლდეს, რომელზეც გამოვაბი ზემოდან დაშვებული თოკი. გაიჭიმა „საბაგირო" გზა. ზემოთ დარჩენილნი სათითაოდ დაეშვნენ 30-მეტრიან საჰაერო გზაზე. პირველ ტბას მეორე ტბა მოსდევს. დამთავრდა ნავით „სეირნობა". წინ ახალი სიურპრიზი გველოდა. შორიდან რაღაც თეთრად მოელვარე მასა მოჩანდა. ეს იყო ხეობის თავზე გადებული „ბროლის ჭიშკარი". გავძვერით მის ქვეშ და შევედით მაღალჭერიან დარბაზში.

დიდხანს არც ამ სანახაობას დაუკავებია ჩვენს წარმოდგენაში ადგილი. გზა ოცდაათმეტრიანმა უფსკრულმა გადაგვიღობა. პირველად ნ. მუშკუდიანი ეშვება ჩანჩქერით, დგება სადღაც ქვევით და გვიხმობს. სათითაოდ ინთქმებიან დანარჩენებიც. ბაქნის ძირში, სადაც ჩვენ ვდგავართ, ტბაა, სამი მეტრის ქვემოთ — მეორე ტბა, რომელიც არ არის ღრმა.

უკვე 12 საათია. ქვევით ეშვება ერთი კაცი, ჩააქვს საჭურველი და ინახავს. ვბრუნდებით მიწის ზედაპირზე...

...კოკისპირულმა წვიმებმა ჩვენი გადამწყვეტი იერიში 5 დღით გადაგვადებინა. 12 ოქტომბერს, 10 საათზე ვიწყებთ შტურმს. მონაწილეობენ ა. ნემსიწვერიძე (იერიშის ხელმძღვანელი), ვ. გაბელაშვილი, ნ. ბუაძე, დ. გურგენიძე, მ. ფორჩხიძე, ა. ლოლაძე, ნ. მუშკუდიანი.

აი, ჩვენი უკანასკნელი ჩაღწევის ადგილზე — ნასხლეტ კლდეზე ვდგავართ. იქვე სტალაქტიდის სვეტი ჩამოდის. ჩვენს წინ „ხეივანია". კლდეები ჩვენს თავზე კამარას კრავენ. მივაბიჯებთ სილაში, რომელიც ამდენი წვალების შემდეგ ხავერდოვან მოლად გვეჩვენება. ჩვენამდე აღარ აღწევს ჩანჩქერების გამაყრუებელი ხმაური. სილაში რაღაც ნაკვალევი შევნიშნეთ, რომელიც კუს ნაფეხურებს წააგავდა. ალბათ იგი წყალმა ჩამოიყვანა აქ და მღვიმის სამუდამო ტყვე გახადა. ვამჩნევთ გამჭვირვალე ობობებს. ზღაპრული „ხეივანი" ახალი ლამაზი ჩანჩქერით დაგვირგვინდა. აკრობატული ილეთების გამოყენებით შევედით გვირაბში, რომელიც მარჯვნივ უხვევს. არხი მინიატურული ტბით დამთავრდა.

ჩვენს წინ ჯურღმულია. გადმოწეულ სტალაგმიტით გალიპულ კლდეზე წყალი ჩხრიალით გადადის და ჰაერში შხეფებად იშლება. ეს ქმნის სინათლის გაუმტარ ფარდას. სხვა გზა არაა, დაშვება უნდა მოხდეს ბრმად, ა. ნემსიწვერიძე იბამს ორ თოკს. თუ უფსკრულის ფსკერს ვერ მიწვდა, მეორე თოკით ამოვწევთ ზევით. იგი სწრაფად ჩაიმალა ქვესკნელში. აღარც მისი სინათლის შუქი ჩანს. ჩვენი დამაკავშირებელი მხოლოდ თოკია, რომელმაც გარკვეული ხნის შემდეგ მოძრაობა შეწყვიტა. ალბათ მიაღწია ფსკერს. ჩვენამდე აღწევს ბგერების გაურკვეველი ხმაური, რომლებშიც ვარჩევთ სიტყვა „კიბეს". მაშასადამე, დანარჩენები კიბით უნდა ჩავიდეთ. ვეშვებით. ჩავდივართ ტბაზე, რომლიდანაც წყლის გასასვლელი არ ჩანს. შემდეგ „უძირო ტბიდან" საწინააღმდეგო მიმართულება ავიღეთ ჩრდილოეთისაკენ. გვირაბმა ერთბაშად ისევ სამხრეთ-დასავლეთით შემოუხვია. აქედან ხეობა თავბრუდამხვევი სპირალური ვარდნილებით ეშვება ქვევით. ჩვენს წინ ნამდვილი „ეშმაკის კიბეებია". გალიპულ, დახრილ თაროს მივყვებით. ქვევით წყალი მიგრიალებს. თარო შვეულმა კლდემ შეცვალა. მასზე წყალს შეუქმნია საფეხურების მსგავსი პატარა თაროები, რომლებსაც საყრდენ წერტილებად ვიყენებთ. დაიწყო 40-60-გრადუსიანი დაქანების დაუსრულებელი კლდეებით ხოხვა. შემდეგ ვარდნილები შედარებით ვაკე კალაპოტმა შეცვალა, სამაგიეროდ აქ ტბებია გადასაცური და ვიწყებთ ნავის თრევას. ჩავეშვით 24-მეტრიან ვარდნილზე. სიმაღლის მზომი 280 მეტრს უჩვენებს. ეს არის მაქსიმალური ჩაღწევა ამ მღვიმეში, რითაც გავაუმჯობესეთ საკავშირო რეკორდი. მდინარე აქედან სიფონით გადის. მაშასადამე, მღვიმის გასასვლელი ჩვენთვის დაკეტილია. ვიწყებთ ამოსვლას. ახლა იგივე ვარდნილებზე ასვლას საათობით დრო მიაქვს. დილის 5 საათზე „ბჭობის დარბაზთან" მოვფოფხდით, სადაც შემოგვეგებნენ ზემოთ დარჩენილნი და აგვათრიეს. ამის შემდეგ სინათლისაკენ გზა ხსნილი იყო.

დასასრული. იხ. „ლელო" № 136.

„რეიმსი" მარცხს განიცდის

საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. მარცხს მარცხზე განიცდის გასული წლის ჩემპიონი „რეიმსი", რაც საფრანგეთის ნაკრების სერიოზულ კრიზისსაც ნიშნავს. გუნდს, რომელიც ცნობილია თავისი შემტევი სტილით, წელს სწორედ თავდამსხმელებმა უმტყუნეს. ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგნენ კოპა, პიანტონი და ვენსანი, მაგრამ ისინი ჯერ არ არიან საბრძოლო ფორმაში. ფონტენი კარგა ხანია განიკურნა, მაგრამ ჯერჯერობით სათადარიგო შემადგენლობაში თამაშობს.

პირველ ადგილზეა პარიზის „რესინგი", რომლის შემადგენლობა საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. მიუხედავად იმისა, რომ პარიზელებმა ბოლო მატჩი თავის მოედანზე წააგეს „რენთან" (0:2), ისინი 26 ქულით 32 შესაძლებლიდან ლიდერობენ შეჯიბრებას. გუნდში განსაკუთრებით გამოირჩევა თავდასხმის ცენტრალური სამეული. „რესინგის" ათლეტური აღნაგობის ცენტრფორვარდი ეტი შეყვანილია საფრანგეთის ნაკრებში, სადაც ხშირად გარემარბად თამაშობს.

ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება „მონაკო", მესამე ადგილზეა „ანჟე", ხოლო მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს „რეიმსი". დანარჩენი კლუბებიდან უნდა აღინიშნოს შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორის „ნიმის" სერიოზული მარცხი, რომელიც VI-VII ადგილებს იყოფს „ლანსთან".

ფეხბურთის ქრონიკა

სერიოზულ წარმატებას მიაღწია ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შოტლანდიის ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა". შოტლანდიელებმა ქ. დიუსელდორფში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს „ბორუსია" (გფრ).

* * *

მეხიკოში შედგა განმეორებითი შესარჩევი მატჩი ფეხბურთში მსოფლიოს პირველობაზე მექსიკასა და აშშ-ს გუნდებს შორის (მათი პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3).

მექსიკელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე (3:0) და გაიმარჯვეს ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ზონის პირველ ჯგუფში.

სურათზე: პოლონეთის პროფკავშირების კლასიკური მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი თბილისის აეროპორტზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ფეხბურთის სპორტსკოლა აწარმოებს ნორჩ ფეხბურთელთა შერჩევასა და მიღებას.

შერჩევა წარმოებს შემდეგი წესით: ნორჩი მეკარეების შერჩევას აწარმოებს სპორტის ოსტატი ა. დოროხოვი ყოველ ხუთშაბათს 15 საათიდან და კვირადღეს 10 საათიდან ლენინის სახ. სტადიონზე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. პანიუკოვი აწარმოებს ნორჩ ფეხბურთელთა შერჩევას ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით 15 საათიდან, შაუმიანის ქუჩაზე მდებარე სტადიონზე.

შესარჩევად მიიღებიან 1946-47-48 წლებში დაბადებული ბავშვები.

რედაქტორი ი. უგულავა.

საერთაშორისო მატჩი

დღეს

»განთიადი« (საქართველო)— პოლონეთის პროფკავშირების ნაკრები

შეჯიბრება ჩატარდება ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზში

მონაწილეობენ: მ. ლუდუშაური, დ. გვანცელაძე, ა. ქორიძე, რ. აბაშიძე, ზ. შეყრილაძე, ო. ებაძე და სხვ.

დასაწყისი 20 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებებს — 3-90-84. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05344